საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

№ 21183 „25" 01 2013 წ

მოქ. ზვიად აბესაძეს

მცხ. ქ. რუსთავი 19/17/88

ბატონო ზვიად,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განიხილა თქვენი 2013 წლის 10 იანვრის განცხადება (სამინისტროში რეგისტრირებულია №5428,14.01.2013წ.). გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, განცხადება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის თაობაზედაც არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განცხადების, აგრეთვე საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება წარდგენილი იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაედო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, შეიცვალა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ, ან თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი (მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

რადგან, თქვენი კორესპონდენციიდან არ იკვეთება ახლად აღმოჩენილი ან გამოვლენილი გარემოებების არსებობა და ამასთან, არ შეცვლილა ის საკანონმდებლო აქტები, რომლის საფუძველზეც სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2012 წლის 28 დეკემბრის №110034 კორესპონდენციით განგემარტათ გრანტის გადატანის შეუძლებლობის თაობაზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მოკლებულია თქვენი განცხადების განხილვის შესაძლებლობას.

პატივისცემით,

დავით ლომინაშვილი

სამართლებრივი უზრუნველყოფის

დეპარტამენტის უფროსი

0102 ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.: (+995 32) 2 31 89 40